ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1104642

ნომერი: AR1189772

თარიღი : 13.01.2014

გაცემის თარიღი : 03.02.2014

გაცნობის თარიღი : 09.02.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ მიმავალ ტერიტორიაზე, (ნაკვეთი N2/64) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა გვანცელაძე პ/ნ 01009004474
- თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 1 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 13 იანვრის #AR1189772 განცხადება.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი 12/24/2013წ. #AR1186332 განცხადების საფუძველზე, სამსახურის მიერ გამოცემულია 13.01.2014წ. #1069649 შუალედური გადაწყვეტილება, რომლითაც დაგევალათ გარკვეული დოკუმენტაციის წარმოდგენა. კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სამსახური იმსჯელებს და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თქვენს მიერ ხარვეზის შევსების შემთხვევაში. ხოლო, თუ გსურთ მითითებულ განაცხადზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა, 12/24/2013წ. #AR1186332 განცხადება ხელმეორედ უნდა წარადგინოთ სამსახურში და მოითხოვოთ მისი განუხილველად დატოვება.

დამატებით განგიმარტავთ, რომ სამსახურის 10.09.2013წ. #869187 ბრძანება, რომლითაც ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, მუხიანის ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ მიმავალ ტერიტორიაზე (ნაკვ. #2/64) შ.პ.ს. ,,იტალავტოგაზი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ავტო–აირ გასამართი სადგურის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, კანონიერ ძალაშია. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ მითითებული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, სამსახურის ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ავტორიზაციის შემდგომ განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ შემდეგი სახით: ელექტრონული განცხადებები – სამართლებრივი საკითხები – ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და ველში „სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები“ მიუთითოთ შესაბამისი აქტის ნომერი და თარიღი.
